

## საყოველთაო საბაზისო შემოსავალი სხვადასხვა ქვეყნის მატალითზე

### ქუჩი ბიჭია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, თსუ-სა და ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი ISET-ის პროფესორის ასისტენტი, საქართველო

**საკვანძო სიტყვები:** ავტომატიზაცია, საყოველთაო საბაზისო შემოსავალი, უმუშევრობა

### ეკონომიკის ტრანსფორმაცია ავტომატიზაციის შედეგად


დღევანდელი ეკონომიკა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის პროცესს განიცდის, რაც გამოწვეულია ავტომატიზაციის სწრაფი ტემპებით თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით. ადამიანის წილი წარმოების თუ მომსახურების პროცესში უფრო და უფრო ნაკლებია, რადგან გაჩნდა შესაძლებლობა, სამუშაო რობოტების ან ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესრულდეს. მაკინზის გლობალური ინსტიტუტში შეისწავლეს ავტომატიზაციის ეფექტი გლობალურ ეკონომიკაზე და დაასკვნეს, რომ 2055 წლისთვის დღეს არსებული სხვადასხვა საქმიანობის ნახევრის ავტომატიზაცია იქნება შესაძლებელი (Manyika, Chui et al., 2017). მსგავს მომავალს ელიან სხვა მკვლევარებიც (Frey & Osborne, 2013; Santer, 2016). ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა პოლიტიკა და ძველი ტექნოლოგიების მიმართ სენტემენტური დამოკიდებულება, შესაძლოა ავტომატიზაცია დამატებით 20 წლით დაყოვნდეს, განვითარებად ქვეყნებში კი შეიძლება უფრო მეტადაც გადაიწიოს თარიღმა. თუმცა, ავტომატიზაცია გარდაუვალია, რადგანაც საშუალებას იძლევა, წარმოების ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდეს და გარკვეულ შემთხვევებში წარმოების შედეგი გაუმჯობესდეს. კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ავტომატიზაციის შედეგად მწარმოებლურობა წლიურად 0.8-1.4 პროცენტით შეიძლება გაიზარდოს გლობალურად. ადამიანური შეცდომის გამორიცხვა და ავადმყოფობით, დადლილობითა თუ სხვა მიზეზით გამოწვეული წარმოების შეწყველების აღმოფხვრა აუცილებლად გაზრდის მწარმოებლურობას ნებისმიერ სფეროში, სადაც ავტომატიზაცია შესაძლებელია (Manyika, Chui et al., 2017).

მიმდინარე ტექნოლოგიურ წინსვლა განიხილება, როგორც მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია (Schwab, 2016). ეს გულისხმობს

როგორც რობო-ტექნიკის განვითარებას, რომელსაც შეუძლია რუტინული დავალებების შესრულება, ასევე ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც გონებრივ სამუშაოს ჩაანაცვლებს. მაიკლ ჩუი, მაკინზის გლობალური ინსტიტუტის პარტნიორი, აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ტიპის საქმიანობის 60%-ში ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაოს 30%-ის ავტომატიზაცია შესაძლებელია, რომელსაც რობოტები, ხელოვნური ინტელექტი, „მანქანური სწავლება“ თუ „ღრმა სწავლება“ ჩაანაცვლებს (Caughill, 2017).

ავტომატიზაციის დადებითი ეფექტი უდავოა. თუმცა ადამიანების შრომის ჩანაცვლებას მოყვება უმუშევრობის ზრდა. ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და გადაჭრის გზების ძებნა დღევანეა საჭირო. ტექნოლოგიური უმუშევრობის ძალიან მაღალი მაჩვენებლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მომუშავეთა გადაამზადება. დოქტორი ჩუი აღნიშნავს, რომ მსგავსი მასიური გადაამზადების გამოცდილება არსებობს გარდამავალი პერიოდიდან, როცა ადამიანური რესურსის დიდი ნაწილი გადავიდა სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიაში. მაგალითად, აშშ-ში სამუშაო ძალის 40% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, რაც მხოლოდ 2%-მდე ჩამოვიდა XX საუკუნის ბოლოს. დანარჩენებმა მოახერხეს

**ავტომატიზაციის შესაძლებლობა, დღეისთვის არსებული ტექნოლოგიების ათვისებით შესაძლო ავტომატიზაციის მაჩვენებელი აქტივებზე დახარჯული დროის %-ებში**



წყარო: O\*NET 2014 database; McKinsey analysis  
McKinsey&Company

**ნახაზი 1. ავტომატიზაციის პოტენციური აშშ-ში სხვადასხვა სამუშაო პოზიციისთვის**

ადაპტაცია და ახალი საქმიანობის გამონახვა (Manyika, Chui et al., 2017). თუმცა ამ შემთხვევაში რომელი გადააჭარბებს - არსებული სამუშაოების ავტომატიზაციის დონე თუ მის შედეგად შექმნილი ახალი სამუშაოების რაოდენობა - წინასწარ ძნელი შესაფასებელია. ადრე არსებული გამოცდილებისგან განსხვავებით, დღეს დაბალკვალიფიციური სამუშაოს უდიდესი ნაწილის ჩანაცვლება ხდება, წარმოშობით კი მაღალკვალიფიციური სამუშაო უფრო ჭარბობს, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის.

ავტომატიზაციის პროცესს სხვადასხვა გავლენა აქვს განსხვავებულ სფეროებზე. ეს დამოკიდებულია 5 ფაქტორზე: ტექნიკური შესაძლებლობა; ავტომატიზაციის ხარჯები; შესაბამისი სამუშაოს შემსრულებელი მუშახელის შეფარდებითი სიმწირე, უნარები და ხარჯები; ადამიანური შრომის ჩანაცვლების გარდა დამატებითი სარგებელი ავტომატიზაციიდან; სოციალური ნორმები და რეგულაციები (Chui, Manyika & Miremadi, 2016). ავტომატიზაციის აუცილებელი პირობაა ტექნიკური შესაძლებლობის არსებობა, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია აპარატურის შექმნის და მოქმედებაში ჩაშვების ხარჯი, რაც არ უნდა აღემატებოდეს ადამიანური კაპიტალის გამოყენების ხარჯს. ასევე მნიშვნელოვანია მოთხოვნა-მიწოდების დინამიკა - თუ შრომის სიჭარბეა ბაზარზე და ავტომატიზაციასთან შედარებით იაფია მუშახელის დაქირავება, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ავტომატიზაციის წინააღმდეგ. მეოთხე ფაქტორია ავტომატიზაციით გამოწვეული დამატებითი ეფექტები - წარმოების უფრო მაღალი დონე, ხარისხის გაუმჯობესება, წუნის შემცირება და სხვა. სოციალური ნორმები და რეგულაციებიც მნიშვნელოვანია. გარკვეულ სიტუაციებში შესაძლოა რობოტებს შეეძლოს ადამიანების ჩანაცვლება, მაგრამ ეს სოციალური კუთხით მიუღებელი იყოს დღევანდელი გადმოსახედიდან. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მედლის საქმიანობა. პაციენტები ელიან ადამიანურ თანაგრძნობას და რობოტი მედდა შეიძლება უარყოფითად იქნეს მიღებული საზოგადოებაში (Manyika, Chui et al., 2017).


გემოაღნიშნული კვლევის მიხედვით, ზოგ სფეროში შესაძლებელია ადამიანური შრომის სრულად ჩანაცვლება, ზოგან - ნაწილობრივ, ზოგან კი შესაძლებელია ადამიანური რესურსის სხვა მიმართულებით მობილიზება და რუტინული საქმიანობის ჩანაცვლება. მაგალითად, ფინანსური მომსახურების და დაზღვევის სფეროში მომუშავეების სამუშაო დროის დაახლოებით 50% იხარჯება მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე, რისი ავტომატიზაციის პოტენციალიც ძალიან მაღალია. იპოთეკური მომსახურების ბროკერების საქმიანობაში დროის ძირითადი ნაწილი აპლიკაციების დამუშავებას ეთმობა, რისი ნაწილობრივ ავტომატიზაციაც

შესაძლებელია (Manyika, Chui et al., 2017). გაყიდვების, კვების სფეროში მომსახურების, განათლების, ჯანდაცვის და მრავალი სხვა მიმართულებით სრულად ან ნაწილობრივ შესაძლებელია 800-მდე სხვადასხვა საქმიანობის 2000-მდე აქტივობის ჩანაცვლება. მიმართულებები მთლიანი შრომის ბაზრის 45%-ზე მეტს მოიცავს, რაც ხელფასებში 2 ტრლნ დოლარს სცდება წლიურად მთელი აშშ-ს მასშტაბით. სამუშაო ძალის მაჩვენებელში რომ გადავიყვანოთ, 60 მლნ სრული განაკვეთით მუშაობის ეკვივალენტის ჩანაცვლება შესაძლებელი ავტომატიზაციის საშუალებით. მსოფლიო მასშტაბით ეს მაჩვენებელი ადის 14.6 ტრლნ დოლარამდე, სადაც ძირითადი წილი ჩინეთზე მოდის \$3.6 ტრლნ, ხოლო ევროპის დიდი ხუთეულის წილი კი არის \$1.9 ტრლნ (Chui, Manyika & Miremadi, 2016). ეს მხოლოდ დღეისათვის ცნობილი ტექნოლოგიებით, თუ ხელოვნური ინტელექტის და ღრმა სწავლების ტექნოლოგიები იგივე ტემპით გააგრძელებს განვითარებას, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 13%-ით შეიძლება გაიზარდოს (Manyika, Chui et al., 2017).

ავტომატიზაციის დანერგვის ტენდენცია ბევრ სფეროში შეინიშნება. ელექტრონული ვაჭრობის კომპანია Amazon - საწყობებში მომუშავე რობოტები ადამიანებზე 4-ჯერ სწრაფად წყვეტენ დაგეგმვის, ნავიგაციის და კოორდინაციის პრობლემებს (Knight, 2015). Tesla და Google - თვითმართვადი ავტომობილები მძღოლის საჭიროების გარეშე. დუბაიში სულ ცოტა ხნის წინ მიიღეს გადაწყვეტილება პოლიციის დამხმარე რობოტების გამოყენების შესახებ. ისინი დაეხმარებიან მოქალაქეებს, რომ პოლიციას დანაშაულის შესახებ შეატყობინონ, ჯარიმები გადაიხადონ ან მიიღონ პასუხები კითხვებზე ("Dubai gets its first robot policeman", 2017). Coursera და მსგავსი პროექტები განათლების მიმართულებით - ონლაინ სასწავლო კურსები ამცირებს მასწავლებლების საჭიროებას, რადგან უკვე ერთი საკლასო ოთახით არაა შეზღუდული სწავლის პროცესი და ყველას შეუძლია მისთვის საუკეთესო პროგრამა შეარჩიოს დისტანციურად. რობოტექნოლოგიები გამოიყენება სოფლის მეურნეობაშიც, ავტომატიზაციამ ხელი დაატყო ყველა სფეროს და ეს ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯებია. ბლოქ-ჩეინის ტექნოლოგიების განვითარება მრავალი სექტორის გარდაქმნას გამოიწვევს, განსაკუთრებით ფინანსური ბაზრების. ის მნიშვნელოვნად ამცირებს გადარიცხვის ხარჯებს. ეს ნიშნავს, საბანკო სექტორში დასაქმებულთა დიდი ნაწილის ფუნქციების ადამიანური ჩარევის გარეშე შესრულებას.

ავტომატიზაცია შეეხება როგორც დაბალანაზღაურებად, ისე მაღალანაზღაურებად პროფესიებს. თუმცა, მაღალანაზღაურებადი პროფესიები ნაკლებად ჩანაცვლებადია, როგორც ნახაზიდან ჩანს (Chui, Manyika & Miremadi, 2015).

**ზოგი პოზიცია სრულად ავტომატიზირებადია, ამასთან პოზიციათა 60%-ის აქტივობათა მინიმუმ 30% ავტომატიზაციას ექვემდებარება**



წყარო: აშშ-ს შრომის სტატისტიკის ბიურო; მაკინზის გლობალური ინსტიტუტის ანალიზი

ნახაზი 2. ხელფასების და ავტომატიზაციის პოტენციალის შედარება აშშ-ს სამუშაო ძალაში.

**სსშ, როგორც ავტომატიზაციის გამოწვევაზე პასუხი სხვადასხვა ქვეყანაში**

ავტომატიზაციის შედეგად შრომის ბაზარი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. საყოველთაო საბაზისო შემოსავლის (სსშ) იდეა აქტიურად განიხილება, როგორც მოსალოდნელი პრობლემის გადაჭრის არც ისე სასურველი, თუმცა, შესაძლოა ერთადერთი გზა. **სსშ გულისხმობს ფულის გაცემას ყველა მოქალაქისთვის პერიოდულად, თანაბრად და უპირობოდ სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიერ, სხვა წყაროებიდან გამომუშავებულ შემოსავალზე დამატებით** (Chohan, 2017). სსშ-ს მომხრეების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის უნდა განისაზღვროს ისე, რომ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იყოს. ამიტომ სიღარიბის ზღვარზე დაბალი საბაზისო შემოსავალი ითვლება ნაწილობრივ საბაზისო შემოსავლად.

სსშ შეიძლება არც ისე კარგი გამოსავალი იყოს მოსალოდნელი კრიზისიდან, მაგრამ ის შეიძლება ერთადერთი შესაძლო გამოსავალი აღმოჩნდეს მოკლევადიან პერიოდში. სსშ-ს იდეა საკმაოდ ძველია და მასზე საუბრობდნენ როგორც ეკონომისტები, ასევე ფილოსოფოსები. თუმცა დღევანდელი ავტომატიზაციის ტემპებიდან გამომდინარე, ის ბოლო წლებში მეტად აქტუალური გახდა და ბოლო პერიოდში

პოლიტიკური დებატების არენაზეც გადაინაცვლა. თითოეული მოქალაქისთვის გარანტირებულ თანაბარი დონის შემოსავალი, რომლითაც მათ შეუძლიათ ელემენტარული საჭიროებები დაიკმაყოფილონ, პოლიტიკოსებისთვის მიმზიდველ სალაპარაკო თემას წარმოადგენს. ამასთან, სსშ-ს არ დაკარგავს მოქალაქე, რომელიც დამატებით იმუშავებს მისი შემოსავლის გაზრდის მიზნით.

ამ პროგრამის აქტუალობა განსაკუთრებით გამოიკვეთა დღევანდელი ავტომატიზაციის სწრაფი ტემპების მიერ შექმნილი საფრთხის ფონზე. სსშ-ს შესახებ ალაპარაკდნენ როგორც ეკონომისტები, ასევე პოლიტიკოსები და ცნობადი სახეებიც (მათ შორის მილტონ ფრიდმანი, კრისტოფერ პისარიდისი, გაი სტენდინგი, ბარაკ ობამა, ბილ გეითსი, მარკ ცუკერბერგი, ილონ მასკი...). ფრიდმანის წიგნში „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ (Friedman, 1962) საუბარია უარყოფით საშემოსავლო გადასახადზე, რომელიც მოსახლეობას გარკვეულ სუბსიდიებს სთავაზობს შემოსავლების დონის მიხედვით, რომელიც მცირდება და ნელ-ნელა გადასახადში გადადის შემოსავლის ზრდასთან ერთად (სსშ-ს მსგავსი პროგრამა, თუმცა, მისგან განსხვავებით, ყველა თანაბარ სარგებელს არ იღებს). ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ სსშ-ს ნაცვლად მთავრობამ



რობოტების დაბეგვრა უნდა დაიწყოს და ეს ფული გამოიყენოს უმუშევრად დარჩენილი ადამიანების დასახმარებელი ან განათლების პროგრამებისთვის, რადგან მომუშავეები რობოტებთან თანაბარ სიტუაციაში რომ იყვნენ, ისინიც უნდა დაიბეგრონ (Houser & Javelosa, 2017; Blackwell, 2017).

სსშ-ს ირგვლივ გრძელდება დებატები და მათ პარალელურად მიმდინარეობს ექსპერიმენტები მსოფლიო მასშტაბით. რამდენად გასაკვირადაც არ უნდა ჟღერდეს, ნაწილობრივი სსშ-ს მსგავსი პროგრამა უკვე მოქმედებს ალიასკაში, აშშ-ში ჯერ კიდევ 1982 წლიდან. შექმნილია ალიასკის მუდმივი ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს შტატის მოსახლეობას ნაწილობრივი საბაზისო შემოსავლით. სსშ-ს მსგავსად, ის არის უნივერსალური, ყველა ადამიანი იღებს თანაბარ სარგებელს უპირობოდ და თანაბარი პერიოდულობით. თუმცა, სსშ-სგან განსხვავებით, მისი მოცულობა ცვალებადია წლიდან წლამდე და სიღარიბის ზღვართან შედარებით დაბალია. პროგრამის თავისებურება ისაა, რომ ფონდი ფინანსდება ნავთობმრეწველობით, რაც შტატის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს და ის გამოიყენება ინვესტიციებისთვის, პირდაპირი ხარჯვის ნაცვლად ფონდი ანაწილებს ინვესტიციებიდან მიღებულ სარგებელს, რაც ფონდის გრძელვადიანი ფუნქციონირების გარანტიას იძლევა. ფონდის თავისებურებიდან გამომდინარე ის სხვადასხვანაირად მოქმედებს მომხმარებლების ქცევაზე. ალიასკის მაგალითზე ჩატარებულ კვლევაში საუბარია, რომ სსშ-ს მსგავსი პროგრამა ეკონომიკის სტაბილურობას ზრდის, რადგან ყველა სხვა მაჩვენებლის რყევის შემთხვევაში არსებობს შემოსავლის წყარო, რომელიც ყველას თანაბრად მიეწოდება. ეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ უპირობო შემოსავლის მიღების შემთხვევაში ადამიანები შრომის მიწოდებას შეამცირებენ, თუმცა, ეს ასე არ მომხდარა ალიასკის შემთხვევაში (მხოლოდ მოსახლეობის 1%-მა შეამცირა შრომის მიწოდება) და ამის მიზეზი ისაა, რომ უმრავლესობას სურს მუშაობა, მაგრამ სამუშაო ადგილების ნაკლებობა ქმნის დასაქმების პრობლემას, რაც მცირე ქალაქებისთვის დამახასიათებელია (Goldsmith, 2010). ალიასკის მაგალითი ნავთობის რესურსის ქონის გარდა იმიტაცაა განსაკუთრებული, რომ იქაური მკაცრი ბუნებრივი პირობები მას საცხოვრებლად არასასურველ ადგილად აქცევს, რისი კომპენსირების მიზნითაც სახელმწიფო დამატებით მოტივაციას ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის იქ დასარჩენად. ამის გამო ძნელია ასეთი მაგალითიდან სსშ-ს შესახებ ზოგადი დასკვნების გამოტანა. აშშ-ში არსებული სოციალური დაცვის ლიბერალური მოდელი მით უფრო ძნელად წარმოსადგენს ხდის სსშ-ს პროგრამის ქვეყნის მასშტაბით განხორციელებას. მით უმეტეს, თუ სხვადასხვა სოციალური რისკების მქონე მოსახლეობისთვის არსებული დანხარების პროგრამის გაუქმება გახდება საჭირო (გაგნიძე, 2012).

ბოლო წლებში სსშ-ს საცდელი პროგრამები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხორციელდება. მათ შორის, ფინეთში, ნიდერლანდებში, კანადაში, აშშ-ში, ინდოეთისა და კენიის გარკვეულ სოფლებში და სხვა. ექსპერიმენტების მიზანია, დაადგინოს, რამდენად რეალისტურია სსშ-ს პროგრამის მასშტაბურად განხორციელება და როგორ შეიძლება იმოქმედოს მან მუშაობის მოტივაციაზე, მოსახლეობის კეთილდღეობასა და მათ სამომხმარებლო ქცევაზე.

მეცნიერები აქტიურად ადევნებენ თვალს ფინეთს, სადაც 2017 წლის 1 იანვარს დაიწყო ექსპერიმენტი სსშ-ს პროგრამის ეფექტიანობის გასარკვევად და ის 2 წელი უნდა გაგრძელდეს. 25 წლიდან 58 წლამდე ასაკის 2000 ადამიანი, რომელიც უმუშევრობის სარგებელს იღებს, ჩაერთო სსშ-ს ექსპერიმენტში და სხვადასხვა ქალაქიდან ქვეყნის მასშტაბით ისინი იღებენ 560 ევროს უპირობოდ და ყოველთვიურად (თუ მუშაობას გადაწყვეტენ, ამ შემოსავალს მაინც არ დაკარგავენ). ეს მხოლოდ პირველი ეტაპია ექსპერიმენტების სერიიში, რაც მიზნად ისახავს გაარკვიოს, როგორი იქნება ყველაზე ეფექტური სსშ-ს სისტემა და როგორ იმოქმედებს ის მომუშავეებზე, ასევე დასაქმების დონეზე. შემდეგ ეტაპზე უკვე მოიაზრება უფრო ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვა და მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა. ასევე შესაძლებელია უარყოფითი საშემოსავლო გადასახადის მოქმედებაზე ექსპერიმენტის ჩატარება (KELA, report on universal basic income experiment in Finland, 2016). უმუშევრობის დონე ფინეთში არის 8.1%, რისი შემცირების იმედიც არსებობს სსშ-ს საშუალებით. ამჟამად არსებული სისტემა უარყოფითად მოქმედებს სამუშაოს ძებნის მოტივაციაზე, რადგან მცირედი შემოსავალიც კი ძლიერ ამცირებს იმ სარგებელს, რასაც უმუშევრობის პირობებში იღებენ. სსშ-ს ეს პრობლემა არ ექნება, რადგან მუშაობის დაწყება არ ამცირებს მის მოცულობას. წარმატების შემთხვევაში ფინეთში ამ პროგრამის უფრო ფართო მასშტაბით განხორციელება იგეგმება. პროგრამისთვის გამოყოფილია 20 მლნ ევრო და წარმატების შემთხვევაში ის შეიძლება ქვეყნის მასშტაბით განხორციელდეს, რისი ღირებულებაც 16 მლრდ ევრო იქნება. შედარებისთვის დღეს 13.4-14.5 მლრდ ევრო იხარჯება სოციალურ პროგრამებზე.

ასევე საინტერესოა უტრეხტის ექსპერიმენტი ჰოლანდიაში, სადაც 250 მოქალაქე მიიღებს თვიურად 960 ევროს. ექსპერიმენტი უნდა გაგრძელდეს 2 წელი (Brown Hamilton, 2016). პროგრამა ითვალისწინებს 6 სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა ეფექტის შესამოწმებლად. ერთი ჯგუფი უმუშევრობის დაზღვევის სახით მიიღებს ფულს სამსახურის ძიების ვალდებულებით და პირობების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სანქციებით, მეორე ჯგუფი დახმარებას უპირობოდ მიიღებს სამსახურის ძებნის ვალდებულების გარეშე, მესამე ჯგუფის წევრები დამატებით 125 ევროს მიიღებენ დამატებით ნებაყოფლობითი სამუშაოების შესრულების

შემთხვევაში, მეოთხე ჯგუფში კი დამატებით 125 ევროს ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებენ, მაგრამ უკან მოუწევთ დაბრუნება თუ ნებაყოფლობით სამუშაოს არ შეასრულებენ. ერთი ჯგუფი ძველი სისტემით მიიღებს სოციალურ დაზღვევას, ხოლო ბოლო ჯგუფი კი იქნება არა შემთხვევითად შერჩეული, არამედ იმათგან შემდგარი, ვინც მონაწილეობის სურვილი გამოთქვს. პროექტი 2017 წლის 1 მაისს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჯერაც მიმდინარეობს მისი განხილვა. ასევე იგეგმება პროექტის დაწყება ნიდერლანდების სხვა ქალაქებში, თუმცა ჯერ უცნობია როდის (McFarland, 2017). ერთი გეგმა გულისხმობს უმუშევრობის დაზღვევის პირობების მოხსნას და უპირობო დახმარების გაცემას ფინეთის ექსპერიმენტის მსგავსად. ასევე მუშავდება მეორე გეგმა, რომლის მიხედვითაც დახმარება შემცირდება მუშაობის დაწყების შემთხვევაში, მაგრამ წელი ტემპებით (გამომუშავებული შემოსავლის 50%-ით 75%-ის ნაცვლად). ამჟამად არსებული უმუშევრობის დაზღვევა აყენებს გარკვეულ პირობებს, რომ მოქალაქემ ყოველდღიურად უნდა აგზავნოს აპლიკაციები და ყველა შესაძლო სამსახურზე უნდა დათანხმდეს. ამ პირობების მოხსნა სსშ-ს ექსპერიმენტში განპირობებულია ბიჰევიორული ეკონომიკის კვლევებით, რაც აჩვენებს, რომ გარე ზეწოლა შიდა მოტივატორებს ასუსტებს და უარყოფითად მოქმედებს სამუშაოს მაძიებელზე (McFarland, 2017).

2011-2012 წლებში ექსპერიმენტი 2 ეტაპად ჩატარდა ინდოეთში. შემთხვევითობის პრინციპის დაცვით და პროექტის განხორციელების სამივე ეტაპზე რელევანტური ინფორმაციის მოპოვების საშუალებით გაკეთდა ძალიან საინტერესო დასკვნები. ინდოეთის 9 სოფლის 6000-მდე კაცმა, ქალმა და ბავშვმა მიიღო ყოველთვიური სსშ წლინახევრის განმავლობაში და ჯამში 15000-მდე ადამიანზე მოხდა დაკვირვება. პროექტის დასასრულს შეინიშნებოდა საცხოვრებელი პირობების, კვებითი ღირებულების, სანიტარიის, ჯანმრთელობის და განათლების დონის გაუმჯობესება სსშ-ს მიმღებ მოსახლეობაში. მსგავსი შედეგები იყო ნამიბიაში განხორციელებულ საპილოტე პროგრამაშიც (Schjoedt, 2016). ამასთან, დააკვირდნენ ალკოჰოლის მოხმარებას, რისი გაზრდის საშიშროებაც სსშ-ს მოწინააღმდეგეთა გარკვეული ნაწილის ერთ-ერთი არგუმენტია. არსებული წარმოდგენის საპირისპიროდ, ღარიბ მოსახლეობას ალკოჰოლში არ გადაუყრია ფული და ძირითადად უფრო გრძელვადიან აქტივებში ჩადეს, როგორცაა სახლის პირობების, სატრანსპორტო ან კომუნიკაციის საშუალებების გაუმჯობესება, ასევე განათლება. სსშ-ს მიმღებთა შორის ალკოჰოლის მოხმარება მცირედით შემცირდა კიდევ, რაც საგარაუდოდ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შედეგად სტრესის შემცირებას უკავშირდება. მწარმოებლურობის მხრივ არსებობს მოსაზრება, რომ ეგრეთწოდებული „უფასო ფული“ ხალხს აზარმაცებს და მუშაობის მოტივაციას ამცირებს. თუმცა, სწორად მიმართულ

სსშ-ს სრულიად საპირისპირო ეფექტი აქვს. ინდოეთის სოფლებში სსშ-ს პროგრამაში მონაწილე ადამიანები ძირითადად სხვის ფერმაზე მიდიოდნენ სამუშაოდ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ, სსშ-ს მიღების შემდეგ კი საკუთარ მიწაზე დაიწყეს მუშაობა. შედეგად ხელფასზე მომუშავეთა რიცხვი შემცირდა, მაგრამ ფერმერთა რიცხვი, რომელიც საკუთარ მიწას ამუშავებს, საგრძნობლად გაიზარდა. ამასთან, ადამიანები გახდნენ სესხებზე ნაკლებად დამოკიდებულნი და მეტად ორიენტირებულნი დანაზღვრებზე (Perkiö, 2014). ინდოეთში წარმოადგინეს სსშ-ს ფართომასშტაბიანი გეგმაც, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქისთვის წლიურად 7,620 რუპიის (285 ლარი) გადახდა უნდა მოხდეს, თუმცა პროგრამის გაშვება ახლო მომავალში არ იგეგმება (Tognini, 2017).

სსშ-ს პროგრამა მუშავდება ოკლენდში, კალიფორნიის შტატში, სადაც 100 რეზიდენტს ყოველთვიურად გადაეცემა 1000-2000 დოლარი და პროგრამა გაგრძელდება 6 თვიდან 1 წლამდე. პროექტის ინიციატორია კომპანიების ტექნოლოგიური ჰაბი Y Combinator. მონაწილეები თავისუფალი იქნებიან არჩევანში იმუშაონ თუ არა, რომელ ქვეყანაში იცხოვრონ და როგორ გამოიყენონ მიღებული შემოსავალი (Smith, 2016; Altman, 2016). მსგავსი პროგრამა შტატის დონეზეც განიხილება, თუმცა მას ჯერჯერობით მომხრეების დიდი რაოდენობა არ ჰყავს, ძირითადად იმ მიზეზით, რომ სსშ-ს მსგავსი პროგრამის დაფინანსება ძვირი დაჯდება და საგარაუდოდ გადასახადების დონის მკვეთრი ზრდის ხარჯზე თუ მიიღწევა (Brown, 27.05.2017). ალტერნატივის სახით 2017 წლის ივლისში კალიფორნიის სენატორმა წარადგინა ნახშირბადის ლიმიტის და ვაჭრობის პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქარხნების მიერ ნახშირბადის გამოყოფის შეზღუდვა მოხდება არა პირდაპირი გზით, არამედ თითოეულ მოქალაქეზე გადანაწილდება გარკვეული რაოდენობა და მათ შეეძლებათ ვაჭრობა ამ ლიმიტით. ვინც ლიმიტს არ გამოიყენებს, მას შეეძლება მიყიდოს, ასე ვთქვათ, დაბინძურების უფლება, იმათ, ვინც საკუთარ ლიმიტზე მეტს მოიხმარს. ამ ახალი ინსტიტუციური გარემოსთვის ჩამოყალიბდა კალიფორნიის კლიმატის დივიდენდების პროგრამა, რომელიც კვარტალურად გაანაწილებს ფულს კალიფორნიის ყველა მაცხოვრებელზე. საბაზისო შემოსავლის მომხრეები განიხილავენ პროგრამას, როგორც სსშ-ს საფუძველში დადებულ აგურს და ეს პროგრამა დღეისათვის სსშ-ზე უფრო რეალურად განხორციელებადია (McFarland, 2017).

კანადაში უკვე გამოხატეს მზადყოფნა და ონტარიოში სადაც ახლო მომავალში დაიწყება სსშ-ს საცდელი პროექტი. ქვეყანაში ჯერ კიდევ 1974 წლიდან არსებობს მსგავსი ექსპერიმენტის გამოცდილება, როცა 1000 კაცის მონაწილეობით დაიწყო საპილოტე პროგრამა სიღარიბის ზღვრის 60% მოცულობის ხელფასით, რაც დაახლო-

ებით 16000 კანადურ დოლარს შეადგენს წლიურად დღევანდელი მონაცემებით. სამწუხაროდ, პროგრამის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა, რადგან ბიუჯეტი 4 წელში ამოიწურა, რაც პროგრამით გათვალისწინებული პერიოდის მხოლოდ ნახევარი იყო. ათწლეულების შემდეგ მანიტობას უნივერსიტეტის პროფესორმა ეველინ ფორგეთმა მოიძია პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მიღებული მონაცემები და, როგორც აღმოჩნდა, ამ პერიოდში უბედური შემთხვევების, ჰოსპიტალიზაციის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევის შემთხვევები შემცირდა. შრომის მოტივაცია პროექტის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა, მხოლოდ ქალების დეკრეტის პერიოდი გაიზარდა და სასკოლო ასაკის მოქალაქეები უფრო მეტად რჩებოდნენ სწავლის გასაგრძელებლად მუშაობის დაწყების ნაცვლად. ერთიანობაში, სსმ აღიქმებოდა მოსახლეობის მიერ, როგორც სტაბილურობის შენარჩუნების საშუალება (Kassam, 2016).

შვეიცარიაში 2016 წელს ჩატარდა რეფერენდუმი სსმ-ს შესახებ, რომელიც გარანტირებულ 2500 შვეიცარიულ ფრანკს გულისხმობდა ყოველთვიურად (და 625 ფრანკს 18 წლამდე მოსახლეობისთვის), მაგრამ მოსახლეობის 77%-მა უარი განაცხადა ამ პროგრამაზე (Minder, 2016). თუმცა, ამით არ დასრულებულა სსმ-ს მექანიზმების განხილვა. გამოკითხვის მიხედვით, ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნიდან მოსახლეობის 68% მზადაა ხმა მისცეს სსმ-ს მსგავს რაიმე პროგრამას, რომელიც უპირობო შემოსავლის გარკვეულ წყაროს მისცემს მოსახლეობას, თუ პროგრამა კარგად იქნება შემუშავებული (“Two-thirds of Europeans for basic income”, 2016).

სსმ-ს იდეის შესწავლაში იტალიაც ჩაერთო და დაიწყო ლიგორნოს 100 ყველაზე ღარიბი ოჯახისთვის 500 ევროს თვიური უპირობო ხელფასის გაცემა, რასაც კიდევ 100 ოჯახი უნდა დაემატოს ახლო მომავალში. ამასთან, რაგუ და ნეაპოლიც განიხილავს მსგავსი პროგრამის პოლიტიკას (“Two-thirds of Europeans for basic income”, 2016). მსგავსი პროგრამები სხვაგანაც იყო მცირე მასშტაბებით. იდეა გაუღერდა საფრანგეთშიც, სადაც 2017 წლის 23 აპრილს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა და ერთ-ერთმა კანდიდატმა, ბენუა ჰამონმა, 600 ევროს (შემდგომ კი 5 წლის განმავლობაში 750 ევრომდე გაზრდილი) თვიური სსმ-ს იდეა წამოაყენა, თუმცა მან არჩევნებში გამარჯვება ვერ მოიპოვა (Tognini, 2017).

საინტერესო იქნება მიმდინარე და დაგეგმილი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი, განსაკუთრებით კი მათი შედარება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, რადგან სხვადასხვა ფაქტორებმა შეიძლება იმოქმედოს. ასევე საინტერესოა საარსებო მინიმუმზე მცირე, საარსებო მინიმუმის ტოლი და მასზე დიდი საყოველთაო საბაზისო შემოსავლის გავლენა მოსახლეობის აღქმასა და ქცევაზე. ექსპერიმენტების დიდი ნაწილი დადებითი შედეგის მოლო-

დინს ქმნის, თუმცა, სსმ-ზე დამოკიდებულება არც ისე სასურველი გამოსავალია. საბოლოოდ, სსმ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც სიმპტომის და არა პრობლემის გადაჭრა. პრობლემის მოსაგვარებლად კი უფრო სწორი იქნება სამუშაო ძალის გარდაქმნაზე ორიენტირება. მისი მორგება ახალი ეკონომიკის პირობებისთვის. მრავალი პროფესია მომავალში აღარ იქნება მოთხოვნადი, თუმცა ჩნდება ახალი პროფესიები. საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება და ბიძგის მიცემა, რომ მეტად მიმართონ უნარები მზარდი მოთხოვნის პროფესიების დასაუფლებლად, რომლებიც დაკავშირებულია ციფრულ ტექნოლოგიებთან. და თუ ეს საკმარისი არ იქნება, უნარები მიმართონ ადამიანური რესურსის ათვისების ახალი გზების ძიებისკენ. ეს პროცესი განსაკუთრებით რთული იქნება, რადგან მეტ წილად ქრება დაბალი კვალიფიკაციის საჭიროების პროფესიები და ჩნდება კვალიფიკაციაზე მაღალი მოთხოვნის მქონე პროფესიები. ამიტომ, გადამზადება და განათლების მიღება აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისთვის, რომ ადამიანები მზად შეხვდნენ შრომის ბაზარზე შეცვლილ გარემოს.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია ის, რომ მომუშავეთა მხრიდან ინფორმაციის გამოყენების უნარის ნაცვლად ინტუიციის და ღრმა გააზრების ექსპერტებად ჩამოყალიბება უფრო ფასდება. ინტერნეტის ეპოქაში ინფორმაცია სულ რაღაც ერთი ღილაკის დაჭერის მანძილზეა. განსაკუთრებით მცირდება ადამიანის ტვინში ინფორმაციის შენახვის საჭიროება ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად. დღეს ადამიანის უპირატესობა რობოტთან შედარებით არის მის უნარში, სწორი დასკვნები გააკეთოს არსებული ინფორმაციის გამოყენებით. ეს სიტუაცია ქმნის გამოწვევებს განათლების სისტემისთვისაც, რომელიც ეყრდნობა მოძველებულ, ინფორმაციის გადაცემის მეთოდებს და ნაკლებად შეფასების და ანალიზის მეთოდებს. თანამედროვე ტექნოლოგიებთან ბრძოლა სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით თავიდანვე განწირულია დამარცხებისთვის და არავითარ შემთხვევაში ქვეყანამ ეს გზა არ უნდა აირჩიოს. საჭიროა ცვლილებებისთვის თავიდანვე სწორად დახვედრა და პროდუქტიულობის და ხარისხის ზრდის ყველა საშუალების ღიად მიღება. ეკონომიკის ბედი დამოკიდებულია მასში მოქმედი სუბიექტების უნარზე, ადვილად აუწყონ ფეხი ცვალებად გარემოს, გარემოს ცვლილება კი გარდაუვალი მოვლენაა.

**დასკვნა**

ავტომატიზაციის პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს და ეს ქმნის როგორც ახალ შესაძლებლობებს, ისე უდიდეს გამოწვევებს შრომის ბაზარზე. მწვავედ უმუშევრობის დონის პრობლემა, რისი გადაჭრის ერთ-ერთ გზად მოიაზრება საყოველთაო საბაზისო შემოსავლის პროგრამა. ეს არც ისე ახალი იდეაა, თუმცა, განსაკუთრებული



პოპულარობა მოიპოვა დღევანდელი სიტუაციის პირობებში როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ასეთი პროგრამის განხორციელება დიდ რესურსებს მოითხოვს. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მიმდინარე ექსპერიმენტები აჩვენებენ მის ძირითადად დადებით ეფექტს საზოგადოებაზე. სილატაკის ზღვარზე მცხოვრებ მოსახლეობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სსშ-ს პროგრამამ მათი ჯანმრთელობის, განათლების, საკრედიტო თუ საცხოვრებელი პირობები გააუმჯობესა, თუმცა, ეფექტები საშუალო შემოსავლიან მაცხოვრებლებზე შეიძლება განსხვავებული იყოს და ამას მომავალი ექსპერიმენტები სჭირდება. პროგრამის ქვეყნის მასშტაბით განხორციელება ჯერაც დიდი გამოწვევაა, ძირითადად მსგავსი პროგრამის დაფინანსების სირთულის გამო. მომდევნო წლებში კიდევ მრავალი საინტერესო დეტალი გაირკვევა დაგეგმილი ექსპერიმენტებიდან. ალტერნატიულად, ნახშირორჟანგის გამოყოფაზე გადასახადი ან კერძო დაფინანსების წყაროებიც მოიაზრება.

სსშ-ს პროგრამა შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს გარკვეული ქვეყნებისთვის და პრაქტიკულად შეუძლებელი – დანარჩენებისთვის. საჭიროა ალტერნატიული გეგმის შემუშავება, რაც ძირითადად მომუშავეების ახალი პროფესიების დაუფლებისკენ მოწოდებით შეიძლება გამოიხატოს. ასეთია მაღალკვალიფიციური პროფესიები, ძირითადად კი ის საქმიანობა, რაც კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ამ მიმართულებით განათლებაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია; საგანმანათლებლო დაწესებულებებში კომპიუტერული ტექნოლოგიების ღრმა სწავლება და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება აუცილებლად შეუწყობს მოსახლეობას ხელს, არ ჩამორჩეს დროებას და მისი შრომა მოთხოვნადი დარჩეს ეკონომიკაში. თუ ავტომატიზაციის ტექნოლოგიების დაუფლება მოხდება, ეს გამოწვევა შეიძლება დიდ უპირატესობად იქცეს ქვეყნისათვის, არსებული სიტუაციის უგულვებლყოფის შემთხვევაში კი მოსახლეობა დიდ სირთულეებს გადააწყდება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაგნიძე, ი., (2012). კეთილდღეობის ეკონომიკა, რიდერი, თბილისი.
2. Blackwell, A., (March 11, 2017). Bill Gates Addresses UBI on Reddit AMA. <http://basicincome.org/news/2017/03/bill-gates-addresses-ubi-reddit-ama/>
3. Brown, D., (May 27, 2017). The California Research Bureau’s remarks on UBI, BIEN. <http://basicincome.org/news/2017/05/california-research-bureaus-remarks-ubi/>
4. Brown Hamilton, T., (June 21, 2016). The Netherlands’ Upcoming Money-for-Nothing Experiment, The Atlantic. <https://www.theatlantic.com/business/archive/2016/06/netherlands-utrecht-universal-basic-income-experiment/487883/>
5. Caughill, P., (January 31, 2017). New Study Predicts Nearly Half of All Work Will Be Automated. <https://futurism.com/new-study-predicts-nearly-half-of-all-work-will-be-automated/>
6. Chohan, U. W., (August 4, 2017). Universal Basic Income: A Review, Discussion Paper.
7. Chui, M., Manyika, J., Miremadi, M., (November 2015). Four fundamentals of workplace automation, McKinsey Quarterly.
8. Chui, M., Manyika, J., Miremadi, M., (July 2016). Where machines could replace humans—and where they can’t (yet), McKinsey Quarterly.
9. Frey, C. B., Osborne, M. A., (2013). The Future of Employment: How susceptible are jobs to computerization.
10. Friedman, M., (1962). Capitalism and freedom, Chicago, IL: University of Chicago Press, p.164-165.
11. Houser, K., Javelosa, J., (February 28, 2017). Bill Gates: The World Isn’t Ready for Universal Basic Income Now, But We Will be Soon. <https://futurism.com/4-bill-gates-thinks-countries-arent-ready-for-basic-income-yet/>
12. Kassam, A., (October 28, 2016). Ontario pilot project puts universal basic income to the test, The Guardian. <https://www.theguardian.com/world/2016/oct/28/universal-basic-income-ontario-poverty-pilot-project-canada>
13. Knight, W., (July 7, 2015). Inside Amazon’s Warehouse, Human-Robot Symbiosis. <https://www.technologyreview.com/s/538601/inside-amazons-warehouse-human-robot-symbiosis/>
14. Manyika, J., Chui, M., Miremadi, M., Bughin, J., George, K., Willmott, P., Dewhurst, M., (January 2017). Harnessing automation for a future that works, McKinsey Quarterly.

15. McFarland, K., (July 22, 2017). San Francisco, CA, US: California State Senator to address questions on UBI and carbon dividend, BIEN. <http://basicincome.org/news/2017/07/san-francisco-ca-us-california-state-senator-address-questions-ubi-carbon-dividend/>
16. McFarland, K., (May 9, 2017). The Netherlands: Social Assistance Experiments Under Review. <http://basicincome.org/news/2017/05/netherlands-social-assistance-experiments-review/>
17. Minder, R., (June 5, 2016). Guaranteed Income for All? Switzerland's Voters Say No Thanks, The New You Times. [https://www.nytimes.com/2016/06/06/world/europe/switzerland-swiss-vote-basic-income.html?\\_r=0](https://www.nytimes.com/2016/06/06/world/europe/switzerland-swiss-vote-basic-income.html?_r=0)
18. Perkiö, J., (2014). Universal Basic Income – A New Tool for Development Policy?, International Solidarity Work.
19. Santers, S., (2016). Deep Learning Is Going to Teach Us All the Lesson of Our Lives: Jobs Are for Machines, Mar 16. <https://medium.com/basic-income/deep-learning-is-going-to-teach-us-all-the-lesson-of-our-lives-jobs-are-for-machines-7c6442e37a49>
20. Santens, S., (March 21, 2017). This is Why Experts Think All People Should Have a Universal Basic Income, Futurism.com. <https://futurism.com/why-experts-think-all-people-should-have-universal-basic-income/>
21. Schjoedt, R., (April 2016). India's Basic Income Experiment, Pathway's Perspectives on Social Policy in International Development, NO 21.
22. Schwab, K., (January 14, 2016). The Fourth Industrial Revolution: what it means, how to respond, World Economic Forum. <https://www.weforum.org/agenda/2016/01/the-fourth-industrial-revolution-what-it-means-and-how-to-respond/>
23. Smith, J., (June 1, 2016). Basic Income in California: 100 Oakland Residents Will Get a Salary Just for Being Alive, MicDaily. <https://mic.com/articles/144927/basic-income-in-california-100-oakland-residents-will-get-a-salary-just-for-being-alive#.xOtWGczF1>
24. Standing, G. (May 30-31, 2013). Unconditional Basic Income: Two pilots in Madhya Pradesh A Background Note prepared for the Delhi Conference.
25. Tognini, G., (February 23, 2017). Universal Basic Income, 5 Experiments From Around The World, BIEN. <https://www.worldcrunch.com/culture-society/universal-basic-income-5-experiments-from-around-the-world-1>
26. Social Insurance Institution of Finland Kela, (2016). From idea to experiment. Report on universal basic income experiment in Finland, Working papers 106. <https://helda.helsinki.fi/handle/10138/167728>
27. Dalia Research, (May 11, 2016). Two-thirds of Europeans for basic income - Dalia CEO presents surprising results in Zurich. <https://daliaresearch.com/two-thirds-of-europeans-for-basic-income-dalia-ceo-presents-surprising-results-at-future-of-work-conference-in-zurich/>
28. Khaleej Times, Dubai gets its first robot policeman, (May 21, 2017). <https://www.khaleejtimes.com/nation/dubai/dubai-police-gets-first-robot-policeman>
29. <https://blog.ycombinator.com/basic-income/>



## UNIVERSAL BASIC INCOME BASED ON EXPERIENCE OF DIFFERENT COUNTRIES

### QUJI BICHIA

PhD Student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University Visiting lecturer at Ivane Javakhishvili, Tbilisi State University and European University Teaching assistant at ISET, Georgia

**KEYWORDS:** AUTOMATION, UNIVERSAL BASIC INCOME, UNEMPLOYMENT

### SUMMARY

Automation brings new opportunities and new challenges to the economy. Economic environment is changing with fast pace and this has a huge impact on labor market. Problem of employment is becoming more challenging as robo technologies are replacing labor force. Economists started looking for solutions to this problem and one solution they are considering is universal basic income. The idea of distributing equal

income to every citizen has caused different reactions in economists. Even if wages from working makes the income different, many look at the program skeptically. Nonetheless, the idea is being tested in different countries and the results will show how widely the universal basic income may be implemented. Though, more pragmatic approach to the problem would be to help workers adjust their effort towards occupations that would be more demanded in future economy.